ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3

გამარტივებული შესყიდვა

ქ. ოზურგეთი 17 იანვარი 2011 წელი

ერთის მხვრივ, სახელმწიფო რწმენებული – გუბერნატორი ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ვალერიან ხიტაიშვილის (შემდგომში–შემსყიდველი), სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ჯორჯიან მიკროსისტემს"-ის (შემდგომში–მიმწოდებელი) ფინანსური დირექტორის დავით ბოლქვაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო რწმენებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის სისტემა „კოდექსი–2007-ის" ინსტალაციისა და ინფორმაციული განახლების მომსახურება.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სისტემა „კოდექსი–2007-ის" ინსტალაცია და ინფორმაციული განახლების მომსახურება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება სისტემა „კოდექსი – 2007–ის" ინსტალაციისათვის შეადგენს ერთჯერადად 240 (ორასორმოც) ლარს, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციული განახლებისათვის წელიწადში 480 (ოთხასორმოც) ლარს დღგ-სა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ოზურგეთი;

5.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია ინდივიდუალური ინფორმაციული განახლება „შემსყიდველს" კვირაში ერთხელ გადაუგზავნოს მისამართზე **A.kazaishvili@yahoo.com.**

5.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 ,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

7.3. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციული განახლების მიწოდებისათვის წელიწადში ერთხელ.;

7.4. ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.

„შემსყიდველი": ---------- „მიმწოდებელი": ----------

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციული განახლება კვირაში ერთხელ;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მარიკა ნაცვალაძე საფინანსო-სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი - შესყიდვების კოორდინატორი;

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“
მისამართი : ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 სახელმწიფო ხაზინა ანგ. №200122900 კოდი: 220101222 საიდენტიფიკაციო კოდი : 237079335	მისამართი : დ. უზნაძის ქ. №2, ბინა №4 საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი“ **MIBGGE22** ანგ. №360201012900209 კ/ს: 202268517
ვალერიან ხიტაიშვილი	დავით ბოლქვაძე